დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი №7

1 სექტემბერი 2010 წელი ქ.დმანისი

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 6 წევრი.

1. ბაკურ მგელაძე.
2. ომარ ჭელიძე.
3. ზურაბ აკოფაშვილი.
4. ჰამლეტ ბერუაშვილი.
5. ნოდარ ადუაშვილი.
6. შამილ ალიევი.

მოწვეული პირები: ადვოკატი რევაზ რიჟამაძე; გიულუ პაშაევა, რეზო ნინიაშვილი, ქამანდარ ალაზოვი და რეზო ნინიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: **ბაკურ მგელაძე**

დღის წესრიგი:

გიულუ პაშაევას 2010 წლის 6 აგვისტოს განცხადების "ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ზეპირი მოსმენა.

მისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა ადვოკატ რ.რიჟამაძეს მოკლეთ აეხსნა მის მიერ წარმოდგენილი განცხადების შინაარსი ბიუროს წევრებისთვის, რომელმაც განმარტა განცხადება და აქვე აღნიშნა, რომ ხელთ უკავი კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 დეკემბრის №3ბ/462-06 გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი დმანისის რაიონის ოროზმანის საკრებულოს 2000 წლის 17 ნოემბრის დადგენილება და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა საქმის გარემოებათა სრულად შესწავლის შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. მან აქვე განმარტა, რომ ასებობს ასევე ძალაში შესული დმანისის რაიონული სამსამართლოს 2009 წლის 22 აპილის გადაწყვეტილებ, სადაც ძალადაკარგულად გამოცხადდა დმანისის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 22 ივლისის №9-13 განკარგულება და უცვლელად იქანა დატოვებული ქვემო ოროზმანის თემის საკრებულოს 2000 წლის 17 ნოემბრის დადგენილება, რომლითაც მოსარჩელე მეხტი ალაზოვი ცნობილი იქნა სოფ. ზემო ოროზმანში 1955 წელს აშენებული ორ სართულიანი სახლის მეპატრონედ. ადვოკატი ამბობს, რომ ვინაიდან სააპელავციო სასამართლო არის უფრო ზემდგომი და მისი გადაწყვეტილება არის უფრო წინ გამოცემული ვიდრე დმანისის რაიონული სასამართლოსი იგი მოითხოვს, რომ აღსრულდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სიტყვა ითხოვა აწ გარდაცვლილი მეხტი ალაზოვის მემკვიდრე ქამანდა ალაზოვის წარმომადგენელმა ადვოკატმა რ.ნინიაშვილმა, რომელსაც არ ქონდა წარმოდგენილი რწმუნება, მან აღნიშნა, რომ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, წარმოდგენილია საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი, რომელზე დაყრდნობითთაც დმანისის რაიონულმ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და იგი მოითხოვს, რომ აღსრულდეს დმანისის რაიონული სამსამართლოს გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს: ზეპირ მოსმენა გადაიდოს 2010 წლის 10 სექტემბერს 10^{00} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბაკურ მგელაძე**